ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა №1/224-2014

ქ. თბილისი „30“ დეკემბერი 2014წ.

ერთი მხრივ,
შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანება” (ქ. თბილისი, სამგორის რაიონში, აეროპორტის დასახლება (აეროპორტი)ს.კ №404 389 693) წარმოდგენილი მისი დირექტორის პირველი მოადგილის თეიმურაზ ჩხაიძის სახით შემდგომში (”შემსყიდველი“) და მეორე მხრივ,

შპს „ავერსი-გეოფარმი“ (ქ. თბილისი, კოსტავას 1 №11 ს.კ. N203834075) წარმოდგენილი მისი კომერციული დირექტორის ეკატერინე ბურძენიძის (მინდობილობა – რეგისტრაციის #141312159, ინდივიდუალური #85756663308214) სახით (შემდგომში ”მიმწოდებელი”)

საქართველოს კანონის ''სახელმწიფო შესყიდვების შესახებ'', მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის თანახმად, ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. **ხელშეკრულების საგანი**

1.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს, ქუთაისის დავით აღმაშენებლის სახელობის საერთაშორისო აეროპორტის საჭიროებისთვის ფარმაცევტული პროდუქტების (CPV-33600000) შესყიდვა.

№	მედიკამენტები	დოზა	რაოდენობა	დასახელება	რაოდენობა	ერთ.ფასი /ლარი	ჯამი	ქვეყანა	ქარხანა	მოქმედი ნივთიერება
1	მანიტოლი 10%	500მლ	16	მანიტოლი 10% 500მლ ფლ (ლიქვ)	16	6.75	108	სომხეთი	ლიქვორი	Mannitolum
2	ლისტენონი	20მგ/მლ 5მლ	80	ლისტენონი 100მგ/5მლ #5ა	16	7.47	119.52	ავსტრია	ნიკომედი ავსტრია გმბჰ	Suxamethonii chloridum
3	დოფამინი 4%	5მლ	80	დოფამინი 4% 5მლ #10ა (დარნიცა)	8	26.1	208.8	უკრაინა	კიევი დარნიცა	Dopaminum
						სულ ჯამი: **436.32** ლარი				

1.2. მიწოდების ადგილია: **ქ.ქუთაისი, ჭავჭავაძის გამზ. #31 (მიმწოდებლის მისამართი).**

1.3. მოწოდებული ფარმაცევტული პროდუქტი უნდა იყოს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს მიერ წარმოებულ საქართველოს ფარმაცევტული პროდუქტების უწყებრივი რეესტრში (რეესტრი - სააგენტოს მიერ წარმოებული საქართველოს ბაზარზე დაშვებული ფარმაცევტული პროდუქტების ნუსხა) რეგისტირირებული.

1.4. შემოთავაზებული საქონელი უნდა ქარხნული წარმოების, ქარხნული ჰერმეტული შეფუთვით. არ უნდა იყოს დარღვეული საქონლის მთლიანობა, შეფუთვაზე მითითებული უნდა იყოს ფირმის დასახელება და ვის მიერ არის წარმოებული, დამზადების თარიღი და ვარგისიანობის ვადა.

2. **ხელშეკრულების ფასი**

2.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 436.32 (ოთხასოცდათექვსმეტი ლარი და 32 თეთრი) ლარს.

2.2. ხელშეკრულების ღირებულებაში შედის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა შესაბამისი გადასახადი, რომელიც უნდა გადაიხადოს „მიმწოდებელმა“.

3. **ხელშეკრულების განხორციელების ვადები და პირობები**

3.1. საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.

4. **შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი**

4.1. შესყიდვის ობიექტის მიღება საქონლის მიწოდებისთანავე ფორმდება „მიღება-ჩაბარების“ აქტით. რის საფუძველზეც „მიმწოდებელი“ „შემსყიდველს“ წარუდგენს სასაქონლო ზედნადებს.

4.2. მიღება–ჩაბარების აქტისა და სასაქონლო ზედნადების ხელმოწერამდე ყველა ქონებრივი უფლება საქონელზე ეკუთვნის მიმწოდებელს, რომელიც პასუხისმგებელია შესაძლო რისკებზე – საქონლის შემთხვევით (მთლიანად ან ნაწილობრივ) დაღუპვაზე, გაფუჭებაზე ან რაიმე ზიანზე. აღნიშნული დოკუმენტის გაფორმების მომენტიდან აღნიშნული უფლებები და რისკები გადადის შემსყიდველზე.

5. **ანგარიშსწორების პირობები**

5.1. „მიმწოდებელთან“ ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ეროვნულ ვალუტაში.

5.2. ანგარიშსწორების საფუძველია მხარეების უფლებამოსილი პირების მიერ გაფორმებული „მიღება–ჩაბარების” აქტი და სასაქონლო ზედნადები.

5.3. „მიმწოდებელთან“ ანგარიშსწორება ხორციელდება მე-5 მუხლის 5.2. პუნქტში განსაზღვრული პირობის დასრულების შემდეგ 10 (ათი) დღის ვადაში.

6. **მხარეთა ვალდებულებები**

6.1. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

6.1.1. მიაწოდოს „შემსყიდველს“ ხარისხიანი საქონელი.

6.1.2. კეთილსინდისიერად შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება;

6.1.3. დროულად განიხილოს “შემსყიდველის” მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

6.1.4. უხარისხო საქონლის მიწოდების შემთხვევაში მოითხოვოს მისი შეცვლა.

6.1.5. დაიცვას ხელშეკრულებით და სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებული ყველა პირობა.

6.2. „შემსყდველი” ვალდებულია:

6.2.1. უზრუნველყოს „მიმწოდებლისათვის“ გაწეული მიწოდებული საქონლის ანაზღაურება წინამდებარე ხელშეკრულების მე-5 მუხლის 5.2 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების წარმოდგენიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში.

6.2.2. დროულად განიხილოს “მიმწოდებლის” მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

6.2.3. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

6.2.4. სასაქონლო ზედნადების გაფორმებამდე შეამოწმოს საქონლის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

7. **მხარეთა უფლებები**

7.1. „მიმწოდებელს" უფლება აქვს:

7.1.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს მიწოდებული საქონლის ღირებულების დროული და სრული ანაზღაურება.

7.2. „შემსყიდველს" უფლება აქვს:

7.2.1. აწარმოოს ხელშეკრულების პირობების შესრულების მონიტორინგი.

7.2.2. არ მიიღოს უხარისხო საქონელი.

8. **ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა**

8.1. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების განხორციელების შემთხვევაში, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით.

8.2. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

8.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

9. ფორს-მაჟორი

9.1. მხარეები თავისუფლდებიან ვალდებულების დარღვევით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ ასეთი დარღვევა გამოწვეულია ისეთი დაუძლეველი ძალის ზემოქმედებით(ფორსმაჟორული გარემოება), რომლის წინაწარ გათვალისწინება ანდა გონივრული მეთოდებით გადალახვა შეუძლებელია. ასეთი გარემოებებია (და არამხოლოდ) მიწისძვრა, ხანძარი, ქარიშხალი, დიდთოვლობა, წყალდიდობა, ეპიდემია, სამხედრო მოქმედებები, მესამე პირების გაფიცვები, სახელმწიფოს ცენტრალური ან ადგილობრივი ორგანოების გადაწყვეტილება ან გადაწყვეტილების არარსებობა, კანონმდებლობაში შესული ცვლილებები და მისთანანი.

9.2. ფორსმაჟორული გარემოების არსებობა დადასტურებული უნდა იყოს კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოსა თუ დაწესებულების მიერ ოფიციალურად.

9.3. მხარე ვალდებულია, პირველივე შესაძლებლობისთანავე შეატყობინოს მეორე მხარეს ფორსმაჟორული გარემოების დადგომის შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, მას უფლება ერთმევა, ვალდებულების შეუსრულებლობა გაამართლოს ფორსმაჟორზე მითითებით.

9.4. მხარეებს ასევე შეუძლიათ, ფორსმაჟორის დადგომის შემთხვევაში, ამ მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის გარეშეც ურთიერთშეთანხმებით შეწყვიტონ, შეაჩერონ ან შეცვალონ ეს ხელშეკრულება.

10. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

10.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნონ ერთმანეთს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

11. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

11.1. იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, მეორე მხარეს უფლება აქვს მოითხოვოს, ხოლო ასეთ შემთხვევაში დამრღვევი მხარე ვალდებულია გადაიხადოს პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.

11.2. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა

ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:

12.1. ურთიერთვალდებულებების შესრულებით;

12.2. მხარეთა შეთანხმებით;

12.3. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

13. გარანტია

13.1. "მიმწოდებელი" ვალდებულია გადასცეს "შემსყიდველს" ხარისხიანი საქონელი.

13.2. "შემსყიდველი" უფლებამოსილია განაცხადოს უარი უხარისხო საქონლის მიღებაზე.

13.3. საქონლის ვარგისიანობის ვადა უნდა შეადგენდეს მიწოდებიდან არანაკლებ 16 თვეს.

14. ინსპექტირების პირობები

14.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებენ კოორდინატორები: ქუთაისის დავით აღმაშენებლის სახელობის საერთაშორისო აეროპორტის სახანძრო-სამაშველო მენეჯერი კახა ზიფერტი, ლოჯისტიკისა და საწყობის კოორდინატორი გოჩა გაგუა და შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანების“ შესყიდვების მონიტორინგის კოორდინატორი.

14.2. კოორდინატორის ფუნქციებია:

14.2.1. მხარეების მიერ ნაკისრი ვალდებულებების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, სათანადო კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება.

14.2.2. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად „მიმწოდებელთან“ „მიღება-ჩაბარების“ აქტის გაფორმება.

15. მხარეთა პასუხისმგებლობა

15.1 თითოეული მხარე ვალდებულია აუნაზღაუროს მეორე მხარეს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით, ასევე მომსახურების გაწევის დროს გამოწვეული ზიანი.

16. გამოყენებული სამართალი

16.1. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

17. დავა

17.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე სადაო საკითხები წყდება მხარეთა ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავას განიხილავს ქ. თბილისის სასამართლო საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

18. დასკვნითი დებულებები

18.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებისა და ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე, მაგრამ არაუგვიანეს 2015 წლის 01 მარტისა.

18.2. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად თითოეული მხარისთვის.

19. მხარეთა ხელმოწერები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი”	”მიმწოდებელი”
შპს ”საქართველოს აეროპორტების გაერთიანება” მისამართი: საქართველო, ქ. თბილისის სამგორის რაიონში, აეროპორტის დასახლება. ს.კ № 404 389 693 საბანკო რეკვიზიტები: სს „თი ბი სი ბანკი”, ბანკის კოდი: TBCBGE22 ა/ა: GE47TB0615536070100001 404389693 თეიმურაზ ჩხაიძე დირექტორის პირველი მოადგილე	**შპს „ავერსი–გეოფარმი“** მის: ქ. თბილისი, კოსტავას #11 ს/კ 203834075 სს „საქართველოს ბანკი“ ბანკის კოდი: BAGAGE22 ა/ა GE50BG0000000866022700 კომერციული დირექტორი: 203834075 /ე. ბურძენიძე/ მინდობილობა – რეგისტრაციის #141312159; ინდივიდუალური #85756663308214